



№ 007430/31

03/09/2019

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით გოგიჩაიშვილი – გენერალური აუდიტორის მოადგილე, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე;
2. ზაზა შეყილაძე – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
3. სოფიო დვალაიშვილი – თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
4. თორნიკე შერმადინი – ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. გიორგი კეკელიშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. გიორგი მამრიკიშვილი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.
8. ნოე ქაშიბაძე – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
9. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
10. დავით შავგულიძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახურის უფროსი;
11. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. ზაზა გელაშვილი – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
13. ვაჟა ბრაგვაძე – ადმინისტრაციის უფროსი.

საჩივრის ავტორი: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომ – დეპარტამენტი).

წარმომადგენლები:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, რაულ ბერიძე (მინდობილობა №2053, 31.08.2019);
- იურიდიული სამსახურის უფროსი, მალხაზ ბოლქვაძე (მინდობილობა №2053, 31.08.2019);
- ტექნიკური სამსახურის უფროსი, მერაბ სანიკიძე (მინდობილობა №2053, 31.08.2019).

- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აუდიტორი), მერაბ პაპიძე (მინდობილობა №2053, 31.08.2019).

მოწინააღმდეგე მხარე: აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

წარმომადგენლები:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კახაბერ კირტავა.
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მთავარი აუდიტორი, ნადიმ ბოლქვაძე.

დავის საგანი: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 22 ივლისს დამტკიცებული აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესაბამისობის N38/36 აუდიტის ანგარიში (01.01.2016 – 31.12.2017).

I

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2019 წლის 14 აგვისტოს საჩივრით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N6872/29) მომართა აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 22 ივლისს დამტკიცებული აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესაბამისობის N38/36 აუდიტის ანგარიშში (01.01.2016 – 31.12.2017) ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით.

პრეზიდენტის მ/წლის 19 აგვისტოს სხდომის საოქმო ჩანაწერით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N7036/30), საჩივრის განსახილველად მიღების ეტაპზე „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, საჩივრის ავტორს მიეცა შესაძლებლობა 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით წარმოედგინა საკუთარი მოსაზრებები საჩივრის მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2019 წლის 22 აგვისტოს შემოვიდა აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის N2015 წერილობითი მოსაზრებები (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N7191/29), რომლითაც დაზუსტებულ იქნა N6872/29 საჩივრის მოთხოვნა. შესაბამისად, მ/წლის 22 აგვისტოს პრეზიდენტის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N7196/30), აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

მ/წლის 3 სექტემბრის პრეზიდენტის სხდომის ზეპირ მოსმენაზე (ოქმი N7416/30) საჩივრის ავტორმა დააკონკრეტა სადავო საკითხები. კერძოდ, მოითხოვა საკითხის: „გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე გაწეული ხარჯები და ბიუჯეტზე მიყენებული ზიანი“ – ამოღება და საკითხების: „არათანაბარი კონკურენციის პირობებში განხორციელებული შესყიდვები“ და „ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ მიმწოდებელზე გადახდილი ავანსი“ – ცვლილება.

საჩივრის მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ არგუმენტაციას:

1.1 საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე გაწეული ხარჯები და ბიუჯეტზე მიყენებული ზიანი, აუდიტის ანგარიში, გვ. 12-17) არსებულ მოსაზრებას ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებთან

დაკავშირებით, კერძოდ, აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამოდ. ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტებით შესრულებაში ნაჩვენები მოცულობები არ შეესაბამება ფაქტობრივად განხორციელებულ სამუშაოებს და გამოვლენილია დანაკლისი, რითაც ბიუჯეტს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი და შესაძლოა ფიქსირდებოდეს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, მხარეთა შორის არამართლზომიერი გარიგებით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.“ საჩივრის ავტორმა პრეზიდენტს განუმარტა, რომ საუბარია 2018 წლის 29 ივნისის N237 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაზე (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT80004384) გაფორმებული აქარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „სამკუთხედს“ შორის, რომლითაც რეკონსტრუქცია ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ალამბარი-ზენითი“ კმ0+000-კმ4+800 მონაკვეთს (ღირებულებით – 1 938 795 (ერთი მილიონ ცხრაას ოცდათვრამეტი ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი)). აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენდა 29.06.2018 – 31.01.2019 პერიოდს. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტორი, რომელიც ატარებდა აქარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის 01.01.2016 – 31.12.2017 პერიოდის შესაბამისობის აუდიტს, ანგარიშში იხილავს 29.06.2018 – 31.01.2019 პერიოდის საკითხებს. აღნიშნული კი საჩივრის ავტორის განმარტებით, წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველ პუნქტთან, რომელიც განმარტავს, რომ აუდიტის დაწყების საფუძველია გენერალური აუდიტორის ან მისი მოადგილის მიერ გაგზავნილი შესაბამისი წერილი აუდიტის დაწყების თაობაზე, სადაც უნდა აღინიშნოს აუდიტის ჩატარების ფარგლები (მოცვა).

1.2 საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში ალამბარი-ზენითი რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით ეყრდნობა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ 2019 წლის 04 ივნისის N002668 ინსპექტირების ანგარიშს, ხოლო კონტრაქტორი კომპანიის – შპს „სამკუთხედის“ მიერ სამუშაოების დასრულების შემდგომ წარმოდგენილი აკრედიტებული ორგანიზაციის შპს „ვირაჟის“ 2019 წლის 19 თებერვლის N34/19 ინსპექტირების ანგარიშში (საექსპერტო დასკვნა) სრულიად იგნორირებულია. საჩივრის ავტორი აყენებს საკითხს: რა პრინციპით მიენიჭა უპირატესობა, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე აკრედიტებული ორგანიზაციის საექსპერტო დასკვნიდან, ერთ-ერთს.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ კონტრაქტორი კომპანიის – შპს „სამკუთხედის“ მიერ წარმოდგენილი შპს „ვირაჟის“ ზემოთ აღნიშნული საექსპერტო (დადებითი) დასკვნა გზის სამოსის მოწყობასთან დაკავშირებით, ეყრდნობა შპს „საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“ 2018 წლის 12 ნოემბრის ასფალტბეტონის ამონაჭრის გამოცდის შედეგებს, რომლის თანახმად, გამოცდაზე შემოწმებულ იქნა ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის კკ3+50, კკ7+00, კკ10+60, კკ13+90, კკ17+50, კკ20+60 მონაკვეთებზე აღებული ასფალტბეტონის ამონაჭრები (კერნები). საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტორის მიერ წარმოდგენილია შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ ინსპექტირების ანგარიშში, რომელიც გზის სამოსის მოწყობასთან დაკავშირებით ეყრდნობა შპს „ეგალის“ 2019 წლის 16 მაისის ასფალტბეტონის ამონაჭრების (კერნების) გამოცდის შედეგებს, რომლის თანახმად, გამოცდაზე შპს „ეგალის“ მიერ შემოწმებულ იქნა ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის კკ0+246, კკ0+256, კკ1+202, კკ1+710, კკ2+321, კკ2+325 მონაკვეთებზე აღებული ასფალტბეტონის ამონაჭრები (კერნები). საჩივრის ავტორის განმარტებით, ორი ლაბორატორიის მიერ გაცემული კვლევის შედეგები წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. ამასთანავე, პირველი დასკვნიდან ექვსი თვის შემდეგ, აუდიტის დაკვეთით განხორციელებული მეორე ლაბორატორიული კვლევა ჩატარებულია სულ სხვა ექვს წერტილში, ვიდრე პირველი ლაბორატორიული კვლევისას. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ასფალტბეტონის ხარისხის გადამოწმების მიზნით, ალტერნატიული კვლევისთვის ასფალტბეტონის ნაჭრები (კერნები) აღებულ უნდა ყოფილიყო იმავე წერტილებიდან, საიდანაც იგი აღებულ იქნა პირველი კვლევის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სხვადასხვა წერტილიდან აღებული ასფალტბეტონის ნაჭრების (კერნების) კვლევისას ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები დაიდოს. ამდენად, საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ ზემოაღნიშნული გზის საფარის არაკვალიფიციური

ინსპექტირების ანგარიშზე დაყრდნობით, აუდიტორმა უსაფუძვლოდ დაასკვნა, რომ ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის სამოსის მოწყობა (ლოკალური ხარჯთაღრიცხვა N9) განხორციელდა 463 990 (ოთხას სამოცდასამი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარის დანაკლისით.

1.4 საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება აუდიტორულ მოსაზრებებს ზემოაღნიშნული სამუშაოების იმ ნაწილში, რომელიც შეეხება აუდიტის ჯგუფის მიერ მოწვეული შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ შეფასებებს N6 და N8 ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებთან დაკავშირებით. ინსპექტირების ანგარიშის თანახმად, ლოკალურ ხარჯთაღრიცხვა N6-ში, იმის გამო, რომ ლითონის მილების მოწყობა ნაცვლად 1-მეტრიანი დიამეტრის მილებისა, განხორციელდა 0,92-მეტრიანი დიამეტრის მილებით, მოწვეული ორგანიზაციის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ დანაკლისმა შეადგინა 56 623 (ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოცდასამი) ლარი. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, როგორც ინსპექტირების, ასევე აუდიტის ანგარიშში, შესყიდვის ხელშეკრულების ანალიზის დროს არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გარანტირებულ საბაზრო ეკონომიკის პრინციპს – საქონლის მსგავსი (ანალოგიური) საქონლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. მაგალითად: სსკ-ის 692.2 მუხლით – ტვირთის (საქონლის) ღირებულება განისაზღვრება საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას, საბაზრო ფასით. თუკი არც ასეთი ფასი არსებობს, მაშინ – მსგავსი სახეობისა და ღირებულების ტვირთების (საქონლის) ანალოგიურად. ზემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დანაკლისი შეიძლება იყოს სხვაობა 1-მეტრიანი დიამეტრის მილის ღირებულებასა და 0,92-მეტრიანი მილის ღირებულებას შორის, ხოლო ინსპექტირების ანგარიშისა და აუდიტის ანგარიშის თანახმად, დანაკლისის გამოთვლისას საერთოდ იგნორირებულია მსგავსი სახეობისა და ღირებულების საქონლით ჩანაცვლების შესაძლებლობა. ამასთანავე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უგულვებელყოფით არის ასევე შეფასებული ლოკალურ ხარჯთაღრიცხვა N8-ში მოყვანილი გაბიონების მოწყობის დანაკლისის ოდენობა – 205 563 (ორას ხუთი ათას ხუთას სამოცდასამი) ლარი. საჩივრის ავტორი არ ეთანხმება ინსპექტირების ანგარიშში (რომელსაც ეყრდნობა აუდიტის ანგარიშში) მოცემულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფლეთილი ქვის ნაცვლად იმავე ზომის რიყის ქვით გაბიონის მოწყობა 4226 კუბ. მეტრის მოცულობით, ვერ ჩაითვლება შესრულებულად და მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპის გათვალისწინებით, დანაკლისი შეიძლება იყოს სხვაობა ფლეთილი ქვის ღირებულებასა და რიყის ქვის ღირებულებას შორის. მოცემულ შემთხვევაშიც ინსპექტირების ანგარიშისა და აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, დანაკლისის გამოთვლისას საერთოდ იგნორირებულია მსგავსი სახეობისა და ღირებულების საქონლით ჩანაცვლების შესაძლებლობა.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში დასკვნის სახით წარმოდგენილ შეფასებას, რომლის თანახმად, ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობა და დანაკლისი – ჯამში შეადგენს 888 231 (რვაას ოთხმოცდარვა ათას ორას ოცდაათერთმეტ) ლარს. საჩივრის ავტორი მიუთითებს ხელშეკრულების დეტალებზე (ასფალტბეტონის საფარის მოწყობა, ღირებულებით 463 990 ლარი; 1-მეტრიანი დიამეტრის ლითონის მილების 0,92-მეტრიანი დიამეტრის ლითონის მილებით ჩანაცვლება, ღირებულებით – 56 623 ლარი; გაბიონის მოწყობისას ფლეთილი ქვის ჩანაცვლება იმავე ზომის რიყის ქვით, ღირებულებით – 205 563 ლარი) და აღნიშნავს, რომ მოცემულ სამ შემთხვევაში (ლოკალური ხარჯთაღრიცხვა N9, N6, N8), ჯამში 726 176 ლარის ღირებულებით სამუშაოები შესრულდა სამოქალაქო კანონმდებლობისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით.

1.5 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აუდიტის ანგარიშის არაობიექტურობაზე მიუთითებს ასევე ს/გზა „ალამბარი-ზენითის“ (კმ0+000-კმ4+800) მონაკვეთთან დაკავშირებით 2016 წლის 17 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების (N51) საფუძველზე, 2016 წელს განხორციელებული ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესრულების შეფასება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშის (გვ.13) თანახმად, სამუშაოების დასრულების შემდეგ წარმოდგენილი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 29 ნოემბრის N007031116 დასკვნით: „... ბეტონის მოცულობის, არმატურის სახეობის და რაოდენობის, სხვა ფარული სამუშაოების მოცულობების რაოდენობრივი სიზუსტე და შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ არის დადასტურებული, თუმცა მიმწოდებელზე გადახდილია 631 360 ლარი.“ საჩივრის ავტორის მითითებით, ექსპერტიზის ამავე დასკვნის თანახმად „... ის სამუშაოები, რომლებიც ექსპერტიზის წარმოების პერიოდში

შეუძლებელი იყო შედარებულიყო წარმოდგენილ ნახაზებთან, მაგალითად, ბეტონის მოცულობა, არმატურის სახეობა და მათი რაოდენობა და სხვა სამუშაოები, რომლებიც უხილავია, მათი ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივაა, ხოლო რაც შეეხება მასალათა სპეციფიკაციებს, წარმოდგენილი სერტიფიკატები შეესაბამება ხელშეკრულებაში არსებულ მონაცემებს. ექსპერტიზის წინაშე ასევე წარმოდგენილი იქნა გაუთვალისწინებელი სამუშაოების დანახარჯების ფორმა, რომლის მოცულობა შეესაბამება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობას. შპს „სამკუთხედის“ მიერ შესრულებულ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ალამბარი-ზენითის“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის მოწყობის სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს (ფორმა N2) აქტის მიხედვით, დღგ-ის გათვალისწინებით შეადგენს 631 360,22 ლარს. რაც შეესაბამება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, ღირებულებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციები შეესაბამება სახელშეკრულებო პირობას.“

2. საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (არათანაბარი კონკურენციის პირობებში განხორციელებული შესყიდვები, გვ. 19-21) გამოთქმულ აუდიტორულ შეფასებას იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ დეპარტამენტის მიერ არათანაბარი კონკურენციის პირობებში, არაპროპორციული, დისკრიმინაციული მიდგომით ხდება პრეტენდენტების შერჩევა და ეს იყო არაეკონომიური ხარჯვა. საჩივრის ავტორის მითითებით, აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ცეცხლსაური-ჯიხანჯური“ კმ1+100-კმ4+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე (NAT160004889) ტენდერში მონაწილე ერთ-ერთ პრეტენდენტს – შპს „გზამშენს“, რომლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი შეადგენდა 1 069 000 ლარს, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ, მაგრამ არ არის წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარება და სხვ.). სატენდერო კომისიამ მოახდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ისე, რომ არ მიუძღვრებოდა მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სატენდერო კომისიის მიერ შპს „გზამშენის“ დისკვალიფიკაცია განხორციელდა 2017 წლის 7 მარტის N11-8 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებით – დაზუსტების მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შეუსაბამო იყო სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან, რომლის თანახმად, სატენდერო წინადადების წარგენის ეტაპზე პრეტენდენტის მიერ რეკვიზიტების: დანართი N1-ის, ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვა) – დანართი N2-ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ასევე, თუ საერთოდ არ იქნება წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია პრეტენდენტი პირის მიერ შესრულებული ანალოგიური სახის გამოცდილების შესახებ (ცხრილი N2 და სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნებოდა ტენდერის პროცედურებიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. რაც შეეხება შემდეგი პრეტენდენტის – შპს „სამკუთხედის“ გამარჯვებულად აღიარებას, რომლის სატენდერო წინადადების ფასი შეადგენდა 1 098 888 ლარს, სატენდერო კომისიის მიერ აღნიშნული მიზანმიმართულად არ მომხადარა და სატენდერო პირობების მოთხოვნები რომელიმე ერთ პრეტენდენტზე (ამ შემთხვევაში აუდიტის აქტში საუბარია შპს „სამკუთხედზე“) არ ყოფილა მორგებული.

ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით: დანართი N2, შპს „სამკუთხედის“ დეპარტამენტის დაკვეთით სულ შესრულებული აქვს 2 463 736 ლარის ანალოგიური სამუშაოები, მათ შორის: 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე – 1 085 791 ლარის, ხოლო 2016 წელს – 1 377 945 ლარის სამუშაოები, რაზედაც სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შესრულებულ სამუშაოებზე მოეთხოვებოდა მხოლოდ რეესტრის წარმოდგენა, დანართი N2-ის სახით.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნის დროს დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ: სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს მოეთხოვებოდა 2014 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 იანვრამდე პერიოდში ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის, კერძოდ, გზებზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების (საერთო ღირებულებით – 1 500 000 ლარი) ინფორმაციის წარმოდგენა. აქედან, ერთი ხელშეკრულებით არანაკლებ 500 000 ლარის ღირებულებით შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, მაშინ როდესაც, 2017 წლის 1 იანვრიდან გამოცხადებულ ანალოგიურ ყველა ტენდერში გამოცდილების პერიოდი განსაზღვრულია 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, ტექნიკური შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ნაცვლად თარიღისა – 2016 წლის იანვრამდე, მითითებული უნდა ყოფილიყო 2017 წლის იანვრამდე.

3. საჩივრის ავტორი აუდიტის ანგარიშში (ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ მიწოდებულზე გადახდილი ავანსი, გვ. 21-23) მოცემულ 2017 წლის 23 ივლისს N214 ხელშეკრულებასთან (ს/გზა – ბარცხანა-ორთაბათუმი-ყოროლისთავი კმ0+000-კმ4+450 (ავანსის გაცემა)) დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, განსაზღვრული იყო ავანსის გაცემა საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. ავტორი აქვე მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, (სს „არდი დაზღვევის“ საქმეზე) დავების საბჭო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, „საბანკო გარანტიის ძალით“ ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვეო ორგანიზაცია, სხვა პირის თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“. შესაბამისად, საბანკო გარანტიის გამცემად გვევლინება რამდენიმე სუბიექტი, ბანკი, სადაზღვეო ორგანიზაცია და სხვა საკრედიტო დაწესებულება, რომლის შემდგომაც დეპარტამენტის მიერ მიუხედავად სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიისა, დასაშვებად იქნა მიჩნეული სადაზღვეო კომპანიის მიერ გაცემული გარანტია. აქედან გამომდინარე, შპს „გზების“ მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 22 დეკემბერს სადაზღვეო კომპანია შპს „არდი დაზღვევის“ მიერ გაცემული უპირობო გარანტია მიჩნეულ იქნა შესაბამის გარანტიად. ამასთანავე, საჩივრის ავტორი ავანსის გაცემასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშით გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დეპარტამენტში შექმნილია ავანსების გაცემისას გადაწყვეტილების მიმღები საავანსო კომისია.

მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებებით (N7325/20; 27.08.2019) აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩივარი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

**II
სამოტივაციო ნაწილი:**

საჩივრის გაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და შემოწმების, გამოცხადებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების, ამ გარემოებათა ურთიერთშეჯერების, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გაანალიზებით, პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2019 წლის 14 აგვისტოს აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი N1958 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N6872/29) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1.1 პრეზიდენტი საჩივრის ავტორის მიერ დასმულ საკითხზე, რომელიც შეეხება 01.01.2016-31.12.2017 წლების პერიოდის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში 26.06.2018-31.01.2019 წლებში განხორციელებული სამუშაოების ასახვას (გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე გაწეული ხარჯები და ბიუჯეტზე მიყენებული ზიანი, აუდიტის ანგარიში, გვ. 12-17) აღნიშნავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის ასფალტბეტონის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა თავდაპირველად განახორციელა 2016 წელს, ხოლო 2017 წელს შეისყიდა იმავე გზის რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომლის საფუძველზე განხორციელებული სამუშაოები დასრულდა აუდიტის პერიოდში. აქედან გამომდინარე, 2017 წელს განხორციელებული შესყიდვის საბოლოო შედეგების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ 2018 წელს გამოცხადებული ტენდერისა და 2018-2019 წლებში შესრულებული სამუშაოების აუდიტისას. შესაბამისად, განხორციელებული აუდიტი სრულად შეესაბამება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის 9 სექტემბრის N12941/26 წერილში მითითებულ პერიოდს და ჩატარებულია მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით. ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

1.2 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ექსპერტიზის დასკვნიდან ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭების საკითხს, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, ალამბარი-ზენითის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილია აუდიტის ჯგუფის მიერ მოწვეული შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ საექსპერტო დასკვნა (N002668; 04.06.2019) და კონტრაქტორი კომპანიის – შპს „სამკუთხედის“ მიერ სამუშაოების დასრულების შემდგომ წარმოდგენილი შპს „ვირაჟის“ საექსპერტო დასკვნა (N34/19; 19.02.19).

შპს „ვირაჟის“ მიერ საინჟინრო აზომვები ჩატარებულია მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების მხოლოდ 40,86 %-ის სამუშაოებზე. ამასთანავე, საექსპერტო დასკვნაში არ იყო ასახული ისეთი გარემოებები, რომელიც ვიზუალურ - ტექნიკური დათვალიერებითაც კი იყო შესაძრწევი, როგორებიცაა: დაზიანებული გზის სავალი ნაწილი, ფლეთილის ქვის ნაცვლად, რიყის ქვით გაბიონის მოწყობა, ბეტონის საყრდენი კედლის ტანის და პარაპეტის მოწყობა, ლითონის ცხაურების და ანაკრები კრინა-ბეტონის კიუვეტების არასრულად მოწყობა, წყალგამტარი ლითონის d-1.0 მ ნაცვლად, d-0.92 მილის მოწყობა და სხვ. შედეგად, იმისათვის რომ აუდიტის ჯგუფს მიეღო რწმუნება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, აუდიტის პროცესში მოწვეულ იქნა დამოუკიდებელი ექსპერტი – შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“, რომელმაც განახორციელა აღნიშნულ სამუშაოებზე სრულყოფილი ექსპეტიზა და შედეგები აისახა აუდიტის ანგარიშში.

იმ პირობებში, როდესაც შპს „სამკუთხედის“ მიერ წარმოდგენილი შპს „ვირაჟის“ საექსპერტო დასკვნა არ მოიცავდა განხორციელებული სამუშაოების მთლიან მოცულობას, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ მართებულად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, რომელმაც საექსპერტო დასკვნაში სრულყოფილად ასახა ჩატარებული სამუშაოების მოცულობა. ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში პრეტენზია უსაფუძვლოა.

1.3 პრეზიდენტი აღნიშნავს: საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუდიტის ჯგუფის დაკვეთით ასფალტბეტონის ხარისხის გადამოწმების მიზნით ჩატარებული კვლევით დადგენილი განსხვავებული შედეგი გამოწვეულია ასფალტბეტონის ნაჭრების (კერნები) სხვა წერტილებიდან აღებით, უსაფუძვლოა.

საქმის მასალებიდან დგინდება, რომ კონტრაქტორი კომპანიის – შპს „სამკუთხედის“ მიერ წარმოდგენილი შპს „ვირაჟის“ საექსპერტო (დადებითი) დასკვნა გზის სამოსის მოწყობასთან დაკავშირებით ეყრდნობა შპს „საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“ – 2018 წლის 12 ნოემბრის ასფალტბეტონის ამონაჭრის გამოცდის შედეგებს, რომლის თანახმად, გამოცდაზე შემოწმებულ იქნა ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის კვ3+50, კვ7+00, კვ10+60, კვ13+90, კვ17+50, კვ20+60 მონაკვეთებზე აღებული ასფალტბეტონის ამონაჭრები (კერნები). ხოლო, აუდიტის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ ინსპექტირების ანგარიში გზის სამოსის მოწყობასთან დაკავშირებით, ეყრდნობა შპს „ეგალის“ 2019 წლის 16 მაისის ასფალტბეტონის ამონაჭრების (კერნების) გამოცდის შედეგებს, რომლის თანახმად,

გამოცდაზე შპს „ეგალის“ მიერ შემოწმებულ იქნა ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის კვ0+246, კვ0+256, კვ1+202, კვ1+710, კვ2+321, კვ2+325 მონაკვეთებზე აღებული ასფალტბეტონის ამონაჭრები (კერნები).

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ასფალტბეტონის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს, ამ ასფალტბეტონის ამონაჭრების (კერნების) სხვადასხვა მონაკვეთიდან აღების მიუხედავად. ამდენად, მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

1.4 პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მსჯელობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გარანტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე საქონლის ანალოგიური საქონლით ჩანაცვლების თაობაზე, რომელიც შეეხება ლითონის 1 მ დიამეტრის მილების, 0,92 მ დიამეტრის მილებით და გაბიონის მოსაწყობად ფლეთილი ქვის ნაცვლად, იმავე ზომის რიყის ქვით ჩანაცვლებას. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით. ასევე დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. იმ პირობებში, როდესაც დამკვეთსა და შემსრულებელს შორის არ არსებობდა შეთანხმება ანალოგიური საქონლით ჩანაცვლების თაობაზე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობისა და დანაკლისის თაობაზე აუდიტის ანგარიშის ჩანაწერი პრეზიდენტს მართლზომიერად მიაჩნია. ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არ არსებობს საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუდიტის ანგარიშში მოცემულ დასკვნას და რეკომენდაციას (N2), პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთქმული ცალსახა შეფასება ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, საჭიროებს კორექტირებას და აუდიტის ანგარიშში შესაბამისი ცვლილების განხორციელებას.

1.5 პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს ს/გზა ალამბარი-ზენითის (კმ0+000-კმ4+800) მონაკვეთზე 2016 წელს განხორციელებული ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესრულების შეფასებასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას (N007031116; 29.11.2016) შესრულებული სამუშაოების ხარისხის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ იქნა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან, ასევე შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოს ხარისხს, როგორც ექსპერტიზის დასკვნიდან დგინდება, ექსპერტიზის წინაშე ხარისხის საკითხი არ დასმულა და შესაბამისად, არც ყოფილა შესწავლილი. ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

2. პრეზიდენტი დეპარტამენტის მიერ არათანაბარი კონკურენციის პირობებში, არაპროპორციული, დისკრიმინაციული მიდგომით შერჩეული პრეტენდენტების (არათანაბარი კონკურენციის პირობებში განხორციელებული შესყიდვები, აუდიტის ანგარიში გვ. 19-21) საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორი უარყოფს არათანაბარი კონკურენციის პირობებში პრეტენდენტთა შერჩევის შესახებ აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულ აუდიტორულ მოსაზრებას, იქვე აფიქსირებს, რომ გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ დროში არ ჰქონდა მსგავსი სამუშაოების გამოცდილება, რაც პრეზიდენტის მოსაზრებით, ცალსახად წარმოადგენს არათანაბარ კონკურენციას. ამასთანავე, საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომლითაც იგი არ ეთანხმება აუდიტის შეფასებას არაეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან აუდიტის ანგარიშში შეფასება – „არაეკონომიური“, მოცემული არ არის.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით სატენდერო წინადადებაში მითითებული დრო – 01.01.2014-01.01.2016 წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და უნდა ყოფილიყო 2017 წლის იანვრამდე პერიოდი. აღნიშნული პრეზიდენტისთვის ვერ იქნება არგუმენტად მიღებული, რადგან დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს ჰქონდა სატენდერო წინადადებით განსაზღვრულ დროში მსგავსი გამოცდილება, თუმცა სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა

შესყიდვის ფასი, არ მისცა პრეტენდენტს დოკუმენტების წარმოდგენისთვის დაზუსტების უფლება და გამარჯვებულად აღიარა შედარებით მაღალი ფასის წარმდგენი შპს „სამკუთხედი“, რომელსაც მითითებულ დროში არ ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება.

ამდენად, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

3. პრეზიდიუმი იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით (ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ მიწოდებულზე გადახდილი ავანსი, აუდიტის ანგარიში, გვ. 21-23) და აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო დოკუმენტაციისა და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ავანსის გაცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტიის საფუძველზე, ანალოგიურ საკითხზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭომ 2017 წლის 20 ივნისს განიხილა საკითხი, სადაც შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოადგენდა დეპარტამენტი და მიღებული გადაწყვეტილებით (DIS 170005965-01), საბანკო გარანტიის გამცემ უფლებამოსილ ორგანოდ საბანკო დაწესებულებასთან ერთად მიიჩნია ასევე სადაზღვევო კომპანიაც. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა, დეპარტამენტმა გაითვალისწინა მოცემული მითითებები და 2017 წლის 22 დეკემბერს სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია მიჩნეულ იქნა შესაბამის საბანკო გარანტიად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ამნაწილში აუდიტის ანგარიშში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

აქარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 14 აგვისტოს N1958 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N6872/29) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1. აუდიტის ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის საკითხთან დაკავშირებით ცალსახად გამოთქმულ აუდიტორულ შეფასებას, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.
2. აუდიტის ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო ანგარიშსწორებას, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.
3. სხვა ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.

დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოვალეობის
შემსრულებელი



ზაზა შევილაძე
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი




სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალისვილი



თორნიკე შერმადინი
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



გიორგი კეკელიშვილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე



ნოე ქაშიბაძე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



გიორგი გაჩეჩილაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის
აუდიტის დეპარტამენტი / ინფორმაციული
ტექნოლოგიების აუდიტის სამსახური

სამსახურის უფროსი
დავით შავგულიძე




ალექსანდრე გოგოლაშვილი
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი



ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

